ფასი ყველგან 10 კ

№ 1

კვირა, 31 აგვისტო 1908 წ.



14189

ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის იუბილეის გამო

ლევ ტოლსტოი.

(1828—1908)

28 აგვისტოს 80 წელიწადი შეუსრულდა „დიდებულ მწერალს რუსეთის მიწისა“—**ლევ ტოლსტოის**; მთელი რუსეთი, მთელი წერა-კითხვის მცოდნე კაცობრიობა ულოცავს დიდებულ მოხუცს 80 წლის იუბილეს; მსოფლიო ლიტერატურა, მსოფლიო აზროვნება მოდღეესასწაულეთ გრძნობს დღეს თავს და ამის საბუთიც აქვს. საკაცობრიო ლიტერატურაში დღეს ტოლსტოის ბადალი არა ყავს. იგია პირველ ხარისხოვანი ვარსკვლავი, ყველაზე ბრწყინვალეთ მოკაშკაშე. მსოფლიო აზროვნობაშიც ტოლსტოის მეტათ თვალსაჩინო და საპატიო ადგილი უკავია.

ტოლსტოის დიადი მნიშვნელობა აქვს როგორც ბელეტრისტს, როგორც ფილოსოფოს-მორალისტს და როგორც ზნეობრივ ცხოვრების მასწავლებელს. განსაკუთრებით დიდია მისი მნიშვნელობა, როგორც ბელეტრისტისა. ვერც ერთი მოძულე ტოლსტოის მოძღვრებისა, ვერც ერთი ბნელეთის მოციქული, რომელიც მზათ არის ტოლსტოი ჯვარზე გააკრას, როგორც ჰერეტიკოსი, ვერ ბედავს არ აღიაროს მისი დიადი ბელეტრისტული ნიჭი, მისი შეუდარებელი შემოქმედებითი ძალა.

მართალია, ტოლსტოის ფილოსოფიურ-მორალისტური ნაწარმოებნი მნიშვნელობით ჩამოუვარდება მის ბელეტრისტულ ნაწარმოებებს, მაგრამ მათაც მეტათ საპატიო ალაგი უკავიათ აზროვნობაში, მათაც დიდი ბეჭედი დააჩნიეს საზოგადოებრივ განვითარებას; რუსეთის საზოგადოებამ მეოთხმოცე წლებში აშკარათ განიცადა ტოლსტოის მოძღვრების გავლენა: მისი მოძღვრება „ბოროტების არ გამკლავების“ შესახებ მთელი ათი წლის განმავლობაში ძალიან იტაცებდა ახალგაზრდობას, მეტადრე ინტელიგენციას; დაარსდა მრავალი ჯგუფები „ტოლსტოველებისა“, რომლებიც ცდილობდენ თავიანთ მოძღვრის ქადაგება საქმეთ ექციათ; ამ მიზნით აარსებდენ კომუნებს, რომლის წევრები ცდილობდენ განეხორციელებიათ ქრისტეს მცნება მოყვასის სიყვარულის შესახებ; ხელს იღებდენ ხორცეულობის ჭამაზე. ცდილობდენ ჩაეკლაო სქესობრივი ინსტიქტები; ქალაქებს თავს ანებებდენ და სახლდებოდენ სოფლებში, სადაც ყველანი თავის ხელით ხნავდენ, თესდენ, მკიდენ. მართალია, დღეს ტოლსტოის მოძღვრებას ისეთი გასავალი აღარ აქვს, როგორც ამ 10—15 წლის წინ, მაგრამ მისი გავლენა მაინც შესამჩნევია.

მოკლე წერილში შეუძლებელია ტოლსტოისთანა ბუმბერაზ მწერლის ყოველ მხრივი დაფასება; ჩვენ აქ არ გამოვუდგებით მის ბელეტრისტულ ნაწარმოებების გარჩევას და დახასიეთებას; ჩვენთვის საკმარისია, თუ მოვახერხეთ, მოკლეთ განმარტება მის მსოფლმხედველობისა, მის ნაწარმოებთა დედააზრისა.

—

ლევ ტოლსტოის მოძღვრება წარმოადგენს წმინდა წყლის რაციონალიზმს, თავის ლოღიკურ დასკვნამდის მიყვანილს.

მისი აზრით, მთელი კაცობრიობის ისტორია ნაყოფია მოფიქრების, გარემოებათა აწონ-დაწონის. ისტორიას ქმნის იდეა, აზრი, ფიქრი, გრძნობა; კაცობრიობის ეკონომიურ-პოლიტიკური ვითარება ამ ფსიხოლოგიურ ელემენტებზეა ზედნაშენი.

მთელი ისტორია დღევანდლამდე წარმოადგენს ერთ უშველებელ შეცდომას. თავდაპირველი და ძირითადი შეცდომა, რომელიც საფუძვლათ დაედვა კაცობრიობის აღურიცხველ უბედურებებს, **ძალადობის** შემოღებაში მდგომარეობს; მჩაგვრელებმა ვერ გაითვალისწინეს, რა უშველებელ ვნებას მოიტანს მომავალში ძალადობის გამეფება; ჩაგრულებმა ვერ მოისაზრეს, რომ ძალადობას სათავეშივე მოსპობა უნდა და დაემორჩილენ მას.

ამ ისტორიის გაგრძელებაც ამნაირათვე რაციონალისტურათ არის დახატული. მჩაგვრელები უფრო და უფრო ირყვნებიან და უფრო და უფრო მეტს შევიწროებას აყენებენ ჩაგრულებს; ეს უკანასკნელნი დროთა ვითარებით უფრო და უფრო მკაფიოთ იგნებენ ჩაგვრის უსამართლობას და მჩაგვრელებს წინააღმდეგობას უწევენ.

—

მუდმივმა შეცდომებმა სრულებით უკულმართათ წარმართა კაცობრიობის ცხოვრება. ხალხმა ააშენა ქალაქები და შიგ დაიწყო ცხოვრება; მიანება თავი ბუნებას, მინდორ-ველებს, ბაღ-ვენახებს და დაიწყო ფაბრიკების ბოლით, გამქვარტლულ ჰაერით სუნთქვა, დაიარსა სახელმწიფოები, გამოიგონა მაშინები, რომელსაც დაუმონა ადამიანები; გახვრიტა მთები, გაიყვანა რკინის გზები, გამოიგონა ტელეგრაფები, ტელეფონები, და სხვა ამნაირი მავნებელი მარგალიტები ცივილიზაციისა. ტოლსტოის კრიტიკის ქარცეცხლში ერთნაირათ არის გატარებული როგორც პროგრესიული, ისე რეგრესიული მხარეები თანამედროვე საზოგადოებისა; მას ერთნაირათ ეზიზღება როგორც ზარბაზანი, ისე მსწრაფლმბეჭდავი მაშინა, როგორც ომიანობა, ისე რკინის გზები.

თანამედროვე ბურჟუაზიულ წყობილების კრიტიკაში ტოლსტოი პირდაპირ შეუდარებელია, იგი ისეთის სიძლიერით სცემს გრდემლს ბურჟუაზიულ

საზოგადოებას, ისე ნათლათ ააშკარავებს მის საზიზღროებას, ისე ხელოვნურათ გვიმტკიცებს მის დანგრევის საჭიროებას, რომ ხშირათ მკითხველს ჭეშმარიტ-რევოლუციონურ სულისკვეთებას უღვიძებს; ხშირათ გავიწყდებათ, რომ თქვენ წინაშე დგას ქრისტიანულ ცხოვრების მოციქული, და მშვიდობიანობის მქადაგებელი მწერალი.

ტოლსტოი სრულიად უარყოფს მთელს თანამედროვე ცივილიზაციას. მისი აზრით, „ცივილიზაცია არის... მთავრობულ ძალადობიდან გამომდინარე, ცრუთ და ბოროტათ მიმართული მოქმედება დასავლეთის ერებისა, რომლებიც იმ ცრუ რწმენის გზას დაადგენ, ვითომც შეიძლებოდეს ძალადობისაგან ძალადობით განთავისუფლება“. ეს ცრუ რწმენაც და მასზე აშენებული ცივილიზაცია უნდა სულ მთლათ მოისპოს.

—

ამნაირათ, თანამედროვე საზოგადოებაში ტოლსტოი მოსაწონს ვერას ხედავს. მაშ საით მოუწოდებს იგი კაცობრიობას, რაში მდგომარეობს მისი იდეალი?

მისი იდეალი წარსულშია. იგი გვირჩევს „უკან დაბრუნებას“ პირვანდელ ცხოვრებასთან. კაცობრიობა პირველ ნაბიჯიდანვე ასცდა სწორ გზას. მან თავიდანვე დაივიწყა, რომ ადამიანი თავისთვის კი არ უნდა ცხოვრობდეს, არამედ ღვთისათვის; მან დაივიწყა, რომ ადამიანი ღვთის მონაა; კაცობრიობა დღევანდელ უბედურებების გავლენით უნდა „გონს მოვიდეს“, უნდა „გაიხსენოს“ დავიწყებული ჭეშმარიტება და ღვთის სამსახურის გზას დაუბრუნდეს. ღვთის სამსახური გამოიხატება ადამიანების მხრივ ერთმანეთის სიყვარულში, ერთმანეთის სამსახურში და სიამოვნებაში, ძალადობაზე ხელის აღებაში, ძალადობის წინააღმდეგ გამკლავებაზე უარის თქმაში. კაცობრიობამ უნდა მიატოვოს ქალაქები, მათი გამშვარტლული ზეცით, დაუბრუნდეს ველ-მინდვრებს და ტყეებს; მან უნდა გაანადგუროს ცივილიზაციის ნატამალი, მრეწველობა, ვაჭრობა და შეუდგეს ღვთისთვის სასიამოვნო მიწის დამუშავებას. მიწა, რა თქმა უნდა, საზოგადო იქნება, ისე როგორც საზოგადო იქნება მასზე აღმოცენებული ნაყოფი; მოისპობა ერთი კაცის მიერ მეორე კაცის შრომის მისაკუთრება.

—

ამ იდეალის განხორციელება ტოლსტოის ძალიან ადვილ საქმეთ მიაჩნია: საკმარისია ადამიანები „გონს მოვიდენ“, საკმარისია „შეიგნონ“. ძლიერთა ამა ქვეყნისა უნდა შეიგნონ მთელი უზნეობა ძალადობისა და ხელი უნდა აიღონ მასზე. ამ იმედით ტოლსტოი ყოველ ისტორიულ მოვლენის გამო მიმართავს ხოლმე „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ „ძმანო ადამიანებო! რას სჩადით? გონს მოდით!“

ჩაგრულნიც „შეიგნებენ“ ჩაგვრა ყველაფის უზნეობას, მოუღებენ მას ბოლოს: მხოლოდ საკმარისია ყველამ „შეიგნოს, რომ „ბოროტებას ძალადობით არ უნდა ებრძოლო“, რომ სიყვარულით, ჩაგონებით ტკბილ სიტყვით უნდა იბრძოდე.

—

ამნაირია მოკლეთ ტოლსტოის მოძღვრების შინაარსი. როგორც ვხედავთ, იგი თავიდან ბოლომდის რაციონალისტურია; მისი ისტორიული ფილოსოფია იდეალისტურია, მისი იდეალი რეაქციონურია, მისი სოციალიზმი უტოპისტურია. ჩვენ თვალში დადებითი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მის ბურჟუაზიულ წყობილების კრიტიკას, მაგრამ ეს კრიტიკა იმდენათ ძლიერია, რომ ტოლსტოის საზოგადოთ უარსაყოფელ მოძღვრებას დიდ ფასსა დებს.

მაშ, ვუსურვოთ დიდებულ მოხუცს ხანგრძლივი სიცოცხლე!

ლ.

ორი გზა.

ის დიდის რიხით მიდიოდა ცხოვრების გზაზე,
ამპარტავანი, გულზვიადი და თავმომწონე
თითქოს შეეპყრა მძიმე ფიქრებს ხალხის ტანჯვაზე
და სურდა, მისთვის შეელია ძალა და ღონე!..
მიდის და ხედავს ცხოვრების გზას ორად გაყოფილს;
შუაზე ბედი სდგას და ჰკითხავს ყველა იქ გამვლელს:
„შენ მარჯვნით არჩევ, მუნ ცხოვრებას ნანატრი კმაყოფილს?
თუ მარცხნიო წახვალ და იქ ირგებ მხოლოთ სატანჯველს?!.
მგზავრი საჩქაროდ წარსდგა ბედის წინ თავ დახრილი,
სალამი მისცა! ბედს ღიმილი დაეტყო პირსა...
„თუ მარჯვნით წახვალ, მუნ მოგელის ცხოვრება ტკბილი,
მარცხნით კი ნახავ სიშავეედეს და გასაჭირსა;—
შენ, რომელს ირჩევ?! ჰკითხავს ბედი მის წინ მდგომარეს.
შესწუხდა მგზავრი, რადგან ძნელი ფიქრი ეწვია:
დიდხანს არჩია და ადარა სიტკბო სიმწარეს,
ბოლოს ძლეულმა ისევ მარჯვნით გადაუხვია...

—

აი, გამოჩნდა კვალად მგზავრი ღარიბ სამოსლით!
იმის სახეზე მწარე ტანჯვა იხატებოდა,
გადაღეღილი უჩნდა მკერდი მთლად სველი ოფლით
და ხალხის ტანჯვა მას მწველ ცეცხლად გულს ეგზნებოდა!
მიუახლოვდა ისიც ბედსა; მის წინ შეჩერდა;
„მკაცრი სიტყვები“ უშფოთველათ მან მოისმინა,
სულაც არ შეკრთა! მხოლოდ ზიზღით ბედს მიაცქერდა
და გაყვა მარცხნით!.. ერთიც მძიმედ ამოიგმინა!..

ნ. ზომლეთელი.

*
* *

როს დასძრავ ნავსა, ბრწყინვალე სხივებს
თავს შემოასხევ ველებს, ჭალებსა
და გამინათებ შენს მოლოდინში
ამოღამებულს, ჩამქნარ თვალებსა,—
ჩემო ოცნებავ! იმ ნანატრ წუთსა
ჩემსა ღვთაებას, ნემს სატრფო საგანს
მრისხანე ქარათ მიგეგებები,
წინ შეგახვედრებ ღრუბელთ ქარავანს...
ჩაისრავ იმათ, ყომრალო ღრუბელთ,
შენს შესახვედრათ გამოსულებსა,
ოქროს გვირგვინით შემკული მეფა
ცეცხლათ აანთებ იმათ გულებსა!
და შეხვედრის ჟამს, იმ ნანატრ წუთსა
მე მთელ სამყაროს ვასმენ გრგვინვასა:
„აღსრულდა უკვე! ის მობრძანდება!...
ბოლო მოეღოს ჩაგრულთ გმინვასა!
თრთოდეს წყვდიადი, მისი დარაჯი
ქვესკნელმა შთანთქას მიუწვდომელმა,
მის საქმეებზე ხალხმა სთქვას მსჯავრი,
მარად მართალმა, მიუდგომელმა“...
მეხათ ქცეული გადავეხვევი
ბაღნართ, ველებსა, ჭალებს და მთებსა
და მთელ სამყაროს ვასმენ ამ ამბავს,
ციურს ამბავსა, ნანატრსა ხმებსა!
ოქროს სხივებით გარემოცული
შენ კვლავ განაგრძობ ბრწყინვალე გზასა,
და გაანათებ გათოშილ მინდვრებს,
მთელსა სამყაროს, დედამიწასა!
აღმოსავლეთით, ცისა კიდურზე,
როს გადავხედავ ბრძოლის მინდორსა,
ვნახავ ღრუბლებსა გულგაპობილებს,
იმათ შუა კი ჩემ სულის სწორსა,—
მაშინ ჩავდგები! ცრემლებათ მდნარი,
მე შევერთვები მდინარეთ, ზღვებსა,
რომ ტკბილ დუდუნით მარად გაქებდე,
ნაპირთ ვასმენდე ნანატრსა ხმებსა!

იასამანი.

ახალი ამბები.

ხოლერა. ხოლერამ ფეხი შემოდგა;
ვერ მოიმაგრა კი ჯერა...
ოციოდ კაცი წაიღო
და თითქო გული იჯერა.

გაზეთები. დღე მუდამ თითო გაზეთი
ჩაჯარიმ-ჩაიხურება
და ჩვენი პართენ გოთუა
გან-განზე გაიყურება.
ამბობენ: ვაჭრებისადმი
სურს განათლების პკურება
იმათი ხარჯით სამ-ენა
გაზეთის გამოცურება,
ვიდრე ვაჭართა ბიურო
ვალებით დაიყურება.
(რა კარგი არის ბექდვითი
საქმეში დამსახურება!!!).

ილია ჭავჭავაძის

გარდაცვალების წლის თავი.

დღეს, 31 მარიამობისათვეს, დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებული მგოსნის ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლათ. დღეს, როგორც მუდამ, ყოველი რიგიანი ადამიანი დაჰგმობს ამ მკვლელობას, ამ ალმაშფოთებელ ფაქტს ჩვენი ცხოვრებისას და გულის წყრომით მოიხსენიებს მისი მკვლელების სახელს, მაგრამ ვაი, რომ მათი სახელი, თუმცა ამ ალმაშფოთებელ მკვლელობის შემდეგ სრულმა წელმა განვლო, ჩვენთვის დღესაც დაფარულია. სრულმა წელმა განვლო, რაც მგოსნის კუბოსთან გაისმა ერთი ჯგუფის ყიჟინა: „ქართველო, ხელი ხმალს იკარო!“, მაგრამ ხალხის გონიერება, გრძნობიერებაზე უფრო მაღალი და მტკიცე აღმოჩნდა, ხელი ხმლისათვის არავის უტა-

ცია და თვით იმათაც კი, რომლებმაც ხმალი იშიშვლეს, თავის ქვენა მოსაზრებით უსაფუძვლო ბრალდების ვგონებ შერცხათ და კაი ხანია, ქარქაშში ჩააგეს. დიახ, კარგი ხანი გავიდა და პირველ დღეების მიერ გამოწვეული აღშფოთების გრძნობაც მიყუჩდა. დღეს ჩვენი მოვალეობაა რაც შეიძლება ფართო მასას გავაცნოთ დიდებული მგოსნის ვინაობა, მიუდგომელი კრიტიკით გავაშუქოთ მისი ნაწერები და ხელი შევუწყოთ ახალგაზრდობამ უფრო საფუძვლიანათ, უფრო შეგნებით შეისწავლოს მისი უკვდავი თხზულებანი.

ილიას „ჭირისუფლები".

ერთი წელიწადი შესრულდა რაც ავაზაკურათ მოკლეს მგოსანი ილია ჭავჭავაძე. ერთი წელიწადი საკმაო უნდა ყოფილიყო იმის გამოსარკვევათ, თუ რა ხალხმა მოიმოქმედა და რა ნიადაგზე მოხდა ეს მკვლელობა, მაგრამ, სამწუხაროთ, საზოგადოებისათვის საქმის ნამდვილი გარემოება ჯერ კიდევ ბურუსშია გახვეული და ამგვარათ, სხვა და სხვა დედაბრულ ჭორებს დიდი გასავალი აქვს. ერთი წელია საზოგადოება დაბეჯითებით გაიძახის — ვინ მოჰკლა ილიაო, მარა პასუხის მიმცემი ზოგიერთებს გარდა არა ჩანან. ეს „ზოგიერთები" კი თავიდანვე იმ აზრისა იყვენ, რომ ილია მოჰკლა „ერთმა მიმართულებამ". ამ განზრახული ჭორების გავრცელებას დიდათ შეუწყო ხელი საქმის გამოძიების სიკოჭლემ. საზოგადოების ერთი ნაწილი ილიას მკვლელობას მეორე ნაწილს აბრალებს და ამ ორ საზოგადოებრივ ჯგუფთა შორის მწვავე კამათია დღიდან ილიას მოკვლისა და განა ასეთ პირობებში შეიძლება ნამდვილი მკვლელის მონახვა? საქმის გაკეთების ნაცვლათ პირად მტრობას, პარტიული ანგარიშების პირველ რიგზე წამოყენებას აქვს ადგილი დათმობილი. აი ასეთი „ჭირისუფლები" ალმოუჩნდენ ილიას. რაშია საქმე, რამ გამოიწვია ასეთი აზრის გავრცელება საზოგადოებაში? აი კითხვა, რომელიც გარკვევას თხოულობს. ნათქვამია: „როცა კაცი მოკვდება, მასზე ან კარგ რამეს იტყვიან, ან სულ არაფერს იტყვიანო", მაგრამ ამა თუ იმ საზოგადო მოღვაწეს თითოეული საზოგადოებრივი ჯგუფი სხვა და სხვა მხრით და სხვადასხვა გვარათ აფასებს — ზოგს მისი მოღვაწეობის ერთი მხარე მოსწონს, ზოგს — მეორე, რაიცა დამოკიდებულია თვით დამფასებლის თვალსაზრისზე.

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობაც ერთობ მრავალმხრივი იყო, მაგრამ მის მოღვაწეობაშიაც არის ერთი მხარე, — რომელსაც ყველა მიმართულება პატივსა სცემს. სწორედ ამ სხვა და სხვა ნაირათ დაფასებამ და აგრეთვე პარტიული ანგარიშების გასწორების სურვილმა შეუწყო ხელი იმ უმსგავსო ბრალდებების წამოსროლას, რამაც ასეთ გამწვავებამდე მიიყვანა ჩვენი პრესსა.

თუ რომელიმე ნაციონალისტს არ დაეთანხმე, რომ ილიასთან ერთად საქართველოც მოკვდაო, თუ არ დაეთანხმე მის აზრს ილიას პოლიტიკურ მოღვაწეობაზე, ერთი ვაი უშველებელი ატყდება და ზოგიერთი ურა პუბლიცისტები ამ სახით სამშობლოს დალატსაც შემოგწამებენ. ამას დაუმატეთ გავრცელებულ ჭორების უმთავრესი მამოძრავებელ-მასულდგმულებელი ძალა, პარტიული ანგარიშების გასწორების სურვილი და თქვენთვის ცხადი იქნება, თუ რატომ მიიღო ამ საგანზე კამათმა ასეთი ცხარე სახე. სრული იმედი გვაქვს, რომ ჩვენს ამგვარ მსჯელობასაც მოწინააღმდეგე მხარე ეჭვის თვალით შეხედავს და ამიტომ საჭიროთ მიგვაჩნია თვით ფაქტები გალაპარაკოთ.

ჯერ კიდევ ილიას გვამი არ გაციებულიყო, რომ ატყდა ერთი აურ-ზაური, მითქმა-მოთქმა, დაიწყეს მკვლელების დასახელება. ბევრის აზრით ილია პოლიტიკურ ნიადაგზე იყო მოკლული „ერთი ცნობილი მიმართულების" მიერ. ეს ჭორები როგორც მღელვარე ზღვის ტალღები დღითი-დღე იზრდებოდნენ. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეებში გამოჩდენ მისი დახელოვნებული გამვრცელებელნი და მისი გადაფურჩულებით, თუ აშკარათ გავრცელება-გაბერვა სასახელო და სასარგებლო საქმეთ გადაიქცა. ამ საქმემ ბევრი კაცუნა ჩააგდო თფილ საბუდარში და ბევრს „სახელი" მოუპოვა. მერე როგორ ფიქრობთ, ეს ჭორები მარტო ხალხში დადიოდა? ასე რომ ყოფილიყო ის ადრე გაიფანტებოდა, მარა სამწუხაროც ისაა, რომ მას საფუძველი ჩაუყარეს პრესსაში და ამით უზრუნველყვეს მისი დღეგრძელობა.

„ისარი" მაგ. სწერდა:

> „გონება გვებნევა", როცა გავიფიქრებთ, რომ ილია პოლიტიკურ ნიადაგზე არის მოკლული... არ გვჯერა, რომ ასეთ გახრწნილებამდე მივედით. გუშინ მთელი თფილისი ამას იმეორებდა, მაგრამ ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ" (ის. № 191).

ასე სწერდა „ისარი" 1 სექტემბერს, მარა 2 სექტემბერს მან კილო შეიცვალა, რითაც ბევრ ჭორიკანას მისცა საბუთი თავისი ჭორი სიმართლეთ გამოეტანა.

მეორე დღეს სწერდა:

„სავალალო და საშინელი ის არის, რომ ჩვენმა ცხოვრებამ შექმნა ატმოსფერა, სადაც ასეთ ბოროტებას ადგილი აქვს და მარჯვე ნიადაგი აქვს მომზადებული. განა ჩვენში არ გაჩნდა მიმართულება, რომელსაც არ სწამს და ეზიზღება მთელი ჩვენი წარსული? განა ამ მიმართულების უვიცმა ადეპტებმა არ იმუშავეს დაულალავათ რათა მიწასთან გაესწორებიათ ჩვენი მკოსანნიც, მწერალნიც, მოღვაწენიც, რომელნიც ხალხის მტრებათ გამოყავდათ და ბრბოს უსისინებდენ“... (№ 192).

,,ისარმა‘‘ ვერასოდეს ვერ გამოიჩინა იმდენი გამბედაობა, რომ, რასაც მიკიბულ-მოკიბულათ ამბობდა პირდაპირ ეთქვა; ან კი რა საჭირო იყო ეს. ის ,,საბუთებს‘‘ აძლევდა სხვებს, რომელნიც პირდაპირ გამოსთქვამდენ ხოლმე. 6 თვის შემდეგ მაგ. ,,ნიშადურმა‘‘ გადაჭრით განაცხადა, რომ ილია ს.-დ. კომიტეტმა მოკლაო (,,ნიშ.“ № 38).

უმეტესობა იმ აზრისა იყო, რომ ილია ,,ცნობილი მიმართულების‘‘ ხალხმა მოკლა, რომ საჭიროა შურის ძიება. ,,ბატონ‘‘-ი მაგალითად ამბობს თავის სიტყვაში:

„ა! წარმოთქმულ სიტყვებს—ილიას ხსოვნას „შურის ძიება“ არ ეკადრებაო, ვერ ვეთანხმები! კი—ეკადრება! ამ სირცხვილს მხოლოდ შურისძიებით გავაქარწყლებთ, შურის ძიება მთელი ერისა იმ უმსგავსოთა წინაალმდეგ, რომელთაც დღეს მთელი საქართველო ძაძით შემოსეს და მთელ ქვეყანაში გააბრიაბრუეს, ერთად-ერთი საშუალებაა მთელი ერის გასამართლებლათ, წინაალმდეგ შემთხვევაში ჩვენ ყველანი დამნაშავენი ვიქნებით ილიას წინაშე! ყოველივე სხვა ერი ჩვენს ალაგას ამასვე ჩაიდენდა და სხ.“... *).

,,ბატონ‘‘-ის აზრით შურის-ძიება, სიკვდილი მკვლელებს. ვინ არიან მკვლელები? მისი აზრით ესენი არიან ,,ის გოშია-გოშპარები, რომელთაც ჩვენი ცხოვრების მეთაურობა იკისრეს‘‘, ასე ლაპარაკობენ ლეგალურ პრესაში, არა ლეგალური პრესა კი—იმ დღეებში გამოსული ფურცელი—პირდაპირ ამბობდა: „ქართველო, ხელი ხმალს იკარო“! და საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან იწვევდენ ხალხს საბრძოლველათ სატახტო ქალაქ თფილისში.

ბევრის აზრით ილიას მკვლელობაში მთელი ქართველი ერია დამნაშავე, დამნაშავეა იმ მიმართულების ხალხი, რომელიც მასთან კამათს ეწეოდა, მის საზოგადო ან პუბლიცისტურ მოღვაწეობას კრიტიკულათ არჩევდა.

ისარი სწერდა: ასე დავაჯილდოვეთ, ასე დავაფასეთ მისი წარსული ღვაწლი და სამსახური. მეტი ბარბაროსობა, მეტი გახრწნილება შეუძლებელია. ამაზე შორს ველარ წავალთ, ისღა დაგვრჩენია მხოლოდ, ერთმანეთს დავერიოთ და ყველანი ამოვჟლიტოთ... „რითი ვიმართლოთ თავი უცხოთა წინაშე“ (№ 191).

საერთო კილოს ნებსით თუ უნებლიეთ ბევრი წვრილფეხობა გაიტაცა და ზემო აღნიშნულ ჭორების ზვირთებს შეუცურა. მაგალითად ირ. ევდოშვილი სწერდა:

—შური და მტრობა, გველის ის-არი
კარგა ხანია, მას უკან სდევდა,
აწ დრო უხელთეს: მოხუცი მკლავი
ვერავის პასუხს ველარ გასცემდა!

ცახელი:

—...„ვაიმე, როცა გდევნიდენ
რა ქირმა შემკრა ბედ-შავი
რათ არ ვეკვეთნე შენს მდევნელთ
რათ არ გავწირე მე თავი,
. . . .
...„ვაიმე, როცა გდევნიდენ
რათ არ შეგექმენ ფარათა,
რათ არ გაისმა ჩემი ხმა
საკვდავი მთა და ბარათა,
რათ არ შევკრიბე ყოველ მხრივ
მსახურნი ხელოვნებისა,
და არ ავლაგმე ენები
შენზედ ამტყდარის ნებისა,
იქნება ცილი რამ გწამეს
და არვინ გაჩნდა ქომაგი,
ხალხზედ ფიქრობდი რომ, დავგმეთ
შენი წარსული ამაგი,
იქნება გული გაგიტყდა
და შენს ერს აზრდილს შურითა,
აღსასრულის წამს უცქერდი
გულმშვიდის საყვედურითა...“

ქუთაისის გუბერ. თავად-აზნაურობამაც გამოსთქვა თავისი აზრი:

ვაი რა კარგი საჩინო რა ავათ მიგიჩნიესო
ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო,
ერის მოღვაწე, დიდება ქვეყნის მტრათ მიგიჩნიესო
ურიგო სიტყვა შეგახეს, გაგლანძღეს გაგათრიესო და სხ.

ს. ხუნდაძემ ამ საგანს მთელი თავისი ძალღონით ჩასჭიდა ხელი და თავის ცნობილი წიგნაკის („მკვლელები და მცველები“) გარდა ეს ლექსიც ჩაამარგალიტა:

მოძმენო, არა ილიას
თვით ერსა კლავენ ბილწები,
ნუ თუ ყველანი დავყრუვდით
რომ გვფლობენ ქუჩის ბიჭები.

ამგვარათ, ილიას სდევნიდენ სიცოცხლეში, მას არავინ ესარჩლებოდა, არავინ იფარავდა, ამიტომ მტრებმა საწადელს მიაღწიეს—მოჰკლეს ილია. ვინ „სდევნიდა“ ილიას, ან რაში გამოიხატებოდა ეს დევნა? ილიას საზოგადო მოღვაწეობას და პუბლიცისტურ ნაწერებს ეხებოდენ კრიტიკულათ მესამე დასელები. განა ამაზე შეიძლებოდა ეთქვა კაცს ილიას სასიკვდილოთ სდევნიდენო? თითონ ბ. ირ. ევდოშვილიც ხომ „სდევნიდა“ ილიას ერთ დროს ასე. ან ბ. ცახელს რათ ესაჭიროებოდა „ხელოვნების

*) წყაროს აღუნიშნავი ამონაწერები ამოღებულია წიგნიდან: „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება თფილისი, 1907 წ.

მსახურთა შემოკრება“ ილიას დასაცავათ, რა უნდა დაეცოთ მათ. განა ვინც საქმეს ჩაუკვირდება არ გაიგებს, რომ ეს „შემოკრება“, „დევნა“, „სისინი“ და სხვა სულ სხვა აზრითაა ნახმარი, ვინემ საჭირო იყო?

ამ საერთო ჟრიამულში გამოერივნენ ისეთებიც, რომლებმაც უფრო მეტი მიუდგომლობა გამოიჩინეს, მარა მათი რიცხვი ერთობ მცირეა. სხვებზე უფრო გარკვევით ჩვენი გოსანნიაკაკი და ვაჟა-ფშაველა ლაპარაკობენ.

აკაკი სწერდა: „და მთელ ქართლში რომ გამოჩნდეს
მოღალატე ერთი-ორი,
მსგავსი ისკარიოტელის
და იუდას თანასწორი,
ამით ჩირქი მთელ ქვეყანას
განურჩევლათ არ ედება,
მხოლოდ ხალხს კი, ქირისუფალს
გულში ცეცხლი ეკიდება“..

...„მოღალატეები ძველ დროშიაც ჰყოლია საქართველოს. ...და სწორეთ იმათაც ჩაიდინეს ეს დღევა დელი საზიზღარი საქმე!.. და არა გლეხობამ ან რომელიმე დასმა, რომელზედაც სულ სხვა წარმოდგენა მაქვს და ტყვილა ნუ მიწამლავთ მოხუცებულს გრძნობას დღევანდელი მითქმა-მოთქმით. („ისარი“ 8 სექტემბერი).

ვაჟა-ფშაველა სწერდა—„ნუ თუ ისე უნდა მოვიქცეთ, რო გორც გვირჩევს „ამ დღეებში დაბეჭდილი მოწოდება ქართველთადმი—ცეცხლი და მახვილი მკვლელებსაო, ესღა გვაკლია, რომ ბარბაროსობას კიდევ ბარბაროსობა დავურთოთ ზედ? დავერივნეთ ერთმანეთს, ვხოცოთ-ვჟლიტოთ ერთმან მეორენი და გავახაროთ ისედაც ჩვენის უბედრუკობით გალაღებული მტერი?“.

ასე ლაპარაკობენ და სწერენ ის პირნი, რომელნიც ნაკლებათ თანაუგრძნობენ იმ მიმართულებას, რომელსაც ილიას მკლელობაში ბრალს სდებენ. მათ არ აქვთ ამ მიმართულებასთან გასასწორებელი არავითარი პირადი ან პარტიული ანგარიშები, ამიტომ მათი მსჯელობა მიუდგომელია. სულ სხვაგვარათ იქცევიან „პარტიის კაცები“. მათ „ერთ მიმართულებასთან“ აუარებელი პარტიული ანგარიშები ქონდათ გასასწორებელი და აბა სად იშოვნიუკეთეს დროს? ილიას ავტორიტეტი ხომ ამისთვის საუკეთესო იარაღი იყო. პარტიის ერთი „საუკეთესო“ პირი მ. ად––ლი სწერდა:

„ჩვენ ვეცდებით დავამტკიცოთ თუ დღემდის არ არის დამტკიცებული, რომ სოც. დემ. უმრავლესობას („შეუგნებელსაც“ და „შეგნებულსაც“) ილიას მოკვლა სარევოლიუციო აქტათ მიაჩნდათ“ „ისარი“ № 124, 1907 წ.

მ. ად—ლს ამის საბუთათ მოყავს ის, რომ ილიას გლოვის დროს სოც. დემ. „განზე“ იდგნენ. ერთ მის ასეთ წერილს შენიშვნას უკეთებდა ასოთ-ამწყობი, სადაც ნათქვამი იყო, რომ ილიას დასაფლავების დღეს ორთაჭალაში წარმოადგინეს „და-ძმა“ და ალბათ, ს. დ. იქნებოდენ ინიციატორნიო. ამას გარდა საბუთათ მ. ად—ლმა ისიც კი მოიყვანა, რომ „ერთ სარდაფში მოქეიფე მუშებმა ილიას მკვლელთა მარჯვენას სადღეგრძელოდალიეს, მერე ვინ იცის რამდენი იყო ასეთი სიხარულისა და „სულ ერთიანობის“ მაგალითი“... „ს. დ. უშველებელ არმიას ვერსად ვხედავთ, მიზეზი ის არის, რომ მთელი კვირის განმავლობაში ცხარე აგიტაციას ეწეოდენ—ილიას დასაფლავებას ნუ დაესწრებითო“ „როგორ უნდა დასწრებოდა ჭავჭავაძის დაკრძალვას ის ხალხი, რომელმაც მისი თხზულებები რამდენიმე წლის წინეთ საჯაროთ დასწვა და სხვ.“ („ის.“ № 224).

ასეთი იყო მ. ად–დის მიერ წარმოდგენილი „ანგარიშები“, მეორე „საუკეთესო“ კაცმა—ბ. სიტყვამ პეტერბურგში მომხდარ სტუდენტთა კრების შესახებ არა ნაკლებ „საყურადღებო“ წერილი დაწერა. სათაურით: „ვინ მოჰკლა ილია“ („ის.“ № 221).

როცა „ისარმა“ დასწერა: „სავალალო და საშინელი ის არის, რომ ჩვენმა ცხოვრებამ შექმნა ატმოსფერა, სადაც ასეთ ბოროტებას ადგილი აქვს და მარჯვე ნიადაგი მომზადებულიო და სხ... („ის“. № 192).

ამის საპასუხოთ, ნ. ჟ. „ჩვენ გზაში“ სწერდა:

„როგორც ხედავთ, მთელი ეს ბრალდება ეხება ქართველ სოც. დემოკრატიას. ვთქვათ, ყველა ეს მართალია, ვსთქვათ, ს. დემოკრატ. მიერ მომზადებულ ნიადაგმა დაბადა ეს მკვლელობა, მერე ამისთვის დასაგმობია თვით ნიადაგი? ამ ნიადაგმა დაბადა ის დიდებული მოძრაობა, ის გონებრივი და პოლიტიკური გადასხვაფერება, რომელიც ქართველ ხალხმა განიცადა და დღე მუდამ განიცდის. ამ ნიადაგზე აღმოცენდა კავკასიის რევოლიუცია, მთელი ახალი ისტორია, და თქვენ გსურთ ყველა ეს უკუ აგდოთ, დაგმოთ იმიტომ, რომ—სადაც ხე იჭრება იქ ნაფოტებიც ცვივა? დიდმა რევოლიუციამ სიკვდილით დასაჯა დიდებული ქიმიკოსი ლავუაზიე, მარა ამიტომ თვით რევოლიუცია არავის დაუგმია გარდა რეაქციონერებისა“... («ჩვ. გაზ.» № 28).

აი, ამაზე აუჩნდა ერთი აურ-ზაური—ილია ნავროტას შეადარა ნ. ჟ.-მო გაიძახიან ყოველ დღე. ამას გაიძახის ს. ფედერალისტი, ფედერალისტი, „ნიშადური“. ესევე გაიმეორა ანარქისტების კვირეულმა ჟურნალმა „ცის ნამმა“ თავის პირველ ნომერში.

აი ასეთმა ხალხმა იკისრა ილიას ჭირისუფლობა და ასეთი სამსახური გაუწია მის სახელს. დღეს დღეობით გამწვავებული ხასიათი პოლემიკისა საგრძნობლათ მიწყნარდა და დაკვირვებულ მკითხველს თითონ შეუძლია სწორი დასკვნა გამოიყვანოს იმ ცნობებიდან, რომელსაც, სამწუხაროთ, ძლიერ შემოკლებულათ ვაწვდით ამ წერილში.

მკით—



„ამირანი და ზუბრები“

(საისტორიო მასალა)

„ზუბრსა“ შეება „ამირან“
ზაკავკაზიელს, რქიანსა,
შარშანდელ „ზურგის სიმაგრეს“
და ქანქარ ბარაქიანსა,
დღეს ბრძოლის ველზე გამოსულს
სარეაქციო ხმიანსა.

შვილდნი მოზიდა...ისარსა
შესტყორცნის ბატის ფრთიანსა,
მაგრამ სქელ კანსა ზუბრისას
ვერ მიაყენებს ზიანსა...

გავკვირდი ესე გმირობა
ვითა შეემთხვა ჭკვიანსა
„ამირან“ დარეჯანიძეს
რაინდსა ენა წყლიანსა.

თუმც გამეტებით არ იყო
ისარი მონადირები
და ასცდებოდა ხედავდენ
„ბრძოლისა“ დამსწრე პირები,
მაგრამ ეს „ყვინჩილობაც“
არს საქმე გასაკვირები,
„ზუბრების“ მიმართ, რაინდთა
ჩვენთაგან დანახშირები.

ვნახოთ რა მოუვეს შედეგი
ამ საარაკო ბრძოლასა,
თუ გადაურჩეს „ამირან“
„ზუბრების“ რქათა ჩრჩოლასა,
ან თუ რქოსანნი გადარჩენ
რაინდთა ისარ ქროლასა,
თუ მორიგება აჯობებს
მეზობლად მტერთა ყოლასა.

ეშმაკი.

მ ო თ ქ მ ა.

გულ-დაწყვეტილი დავმჯდარვარ
და მწარე ცრემლით ვტირი მე:
„სად ხარ „ეშმაკის მათრახო“,
სადა ხარ, შენი ჭირიმე?!

მარქვი: უშენოთ „ეშმაკი“
რას აქნევს ამა სოფლათა?
მარტოკა კუდის ამარა
უნდა იაროს ობლათა.

ოჰ, ძალო ჯოჯოხეთისავ,
რათ განმირისხე ზეცა მე!
იქნებ სიმართლის ქომაგი
შემალტყვე, შემომეწამე?!

იქნების დღემდე ცოდვებმა
იმატეს, ინამთავნესა
და დღეს დაესვა ბეჭედი
„მიმართულებას მავნესა“?
იქნებ დაჰკაწრა ძლიერი
კუდისა შენის კბენამა
და სასიკვდილოდ გაგწირა
„დურმიშხანულმა“ ენამა?
იქნებ გაგცვალეს ქანქარზე
ვერცხლისა მოტრფიალებმა,
მსხვერპლად შეგწირეს მამონას
იმისი ეშხით მთვრალებმა?
იქნებ შეამკე როდისმე
ორფეხა—წვერებ-ცანცარა,
და მან შესთხოვა მეუფეს
რომ არსებობდე აღარა?
— ნეტავ ვიცოდე... მაგრამ ეჰ!
რას ვაქნევ ცოდნას ტიალსა,
გული მიკვდება, ვერ ვხედავ
კუდისა შენის ტრიალსა.
ხუცებსა დრამა მოუნდათ,
მემამულეებს—ღალები...
უშენოთ მე რა გავაწყო;
ამაოდ დავიღალები.
შენი იმედით ვცოცხლობდი
რათ მიმატოვე საწყალი,
სანადირ-საირაოზე
ხომ ბევრი გვქონდა საგზალი.
თუნდ ქართველ „ზუბრებს“ შეხედე
ჯერ იმათ ზურგზე რათ ღირხარ!!
შენ-კი, შეკრული, უსაქმოთ
სადღაც ჯურღმულში აგდიხარ.
მარქვი რით გავსცე პასუხი
მე იმათ სიავ.კარგესა?!
ვისაც კი „უდურმიშხანეს“
ცივ მხარეს მიაბარგესა.
შენი ჭირიმე „ეშმაკის
მათრახო“, კუდა—მწარეო
მასმინე შენი ზუზუნი
ნუ დამსვი მგლოვიარეო.
მაგრამ ამაოდ!!. არ ისმის
შენი ხმა... კვლად ვსტირი-მე
სადა ხარ ჩემო ძვირფასო,
სადა ხარ, შენი ჭირიმე!

ეშმაკი.

აკადემიკოსი

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲗᲐᲠᲮᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ.

ახლად გარდაცვალებული აკადემიკოსი ივანე თარხნიშვილის შესახებ ბევრი დაიწერა რუსულ და აგრეთვე ქართულ პრესაში, რის გამო ამ წერილის მიზანი არ არის მისი ბიოგრაფიული ცნობების გადმოცემა. ამ მცირე მოგონების მიზანია გავაცნოთ მკითხველებს მხოლოდ ზოგიერთი მხარეები გამოჩენილი მეცნიერის ცხოვრებიდან, სახელდობრ, მისი მოქალაქობრივი გაბედულება, მისი მამაცური ბრძოლა სიმართლის დასაცავად, რომელიც მაღლა აყენებს ადამიანს და ურომლისოთაც თვით მეცნიერიც უბრალო მანქანაა.

გასული საუკუნის უკანასკნელ წლებში განსვენებული მეცნიერი პეტერბურგის სამხედრო საექიმო აკადემიაში კითხულობდა ლექციებს. 20—30 წლის რეაქციამ არც უმაღლესი სასწავლებლები დატოვა ხელ-უხლებელი და სიპიაგინ-პლევეს რეჟიმმა წელში გასწყვიტა, რასაც კი სიცოცხლის ნიშან-წყალი შერჩენოდა. პროფესორები უბრალო ჩინოვნიკებს წარმოადგენდენ და უნივერსიტეტებიც ბევრით არ განსხვავდებოდენ საპოლიციო დეპარტამენტისაგან.

ეს ის დრო იყო, როცა რუსეთის საუკეთესო პროფესორები იძულებულნი იყვნენ მწუხარებით განშორებოდენ სამშობლო ქვეყნის საზღვრებს, რომ უცხო მხარეში გულ-დამშვიდებით განეგრძოთ თავიანთი სამეცნიერო კვლევა-ძიება. ის მოწინავე პროფესორები კი, რომელნიც ადგილობრივ რჩებოდენ სასტიკ პროტესტს აცხადებდენ ამ შევიწროებისა გამო. ერთი ამათგანი იყო განსვენებული ივანე თარხნიშვილი.

ლექტორობის გარდა ის ითვლებოდა აგრეთვე აკადემიის მეცნიერ მდივნათ (ученный секретарь) და აი, ამ ხანებში სახელოვანი რუსის მეცნიერი პავლოვის კონფლიკტმა თარხნიშვილიც აიძულა აკადემიისთვის თავი მიენებებია. როგორც ამბობდენ, მას მოსოხოვეს პავლოვის საქმის ოქმებში არ შეეტანა ის თანაგრძნობა და პატივის ცემა, რომლითაც ახალგაზრდობა (სტუდენტობა) მას შეეგება. თარხნიშვილმა სიმართლის ღალატს აკადემიის დატოვება ამჯობინა. საყვარელი პროფესორის ამგვარი მოქმედება ღირსეულათ დააფასა სტუდენტობამ და იმისი ეტლი სახლამდის ხელით მიაცილა. ეს ღირსმნიშვნელოვანი ფაქტი და ის უზომო თანაგრძნობა, რომელიც მან გამოიწვია სტუდენტთა შორის, სავსებით ახასიათებს განსვენებული პროფესორის მოქალაქობრივ გაბედულებას და მოსწავლე აგალგაზდობის მისდამი დამოკიდებულებას.

ამ ინციდენტის შემდეგ მცირე ხნით ის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს, ხოლო შემდეგ „სალიანოი გოროდოკის“ დიდ აუდიტორიაში დაიწყო ლექციების კითხვა, სადაც კვირაში ორ დღეს კითხულობდა ორ-ორ ლექციას ფიზიოლოგიასა, ბიოლოგიასა და გიგიენაზე. ეს გახლდათ 1899 და 1900 წლებში. თარხნიშვილის ლექცია ეს ნამდვილი ამოფეზი იყო. ჯერ უნივერსიტეტებშიაც მის ლექციებს მრავალი მსმენელი ესწრებოდა და სხვა პროფესორთა აუდიტორები ცარიელი რჩებოდა, მაგრამ „სალიანოი გოროდოკის“ აუდიტორიას აურაცხელი მსმენელი აწყდებოდა. იქ შეხვდებოდით თვით უმაღლეს განათლება მიღებულ პირებისაგან მოწყებული უბრალო მუშებამდე ყველას. იყვნენ ვექილები ინჟენრები, ექიმები და სხ.

მართლა, რაღაც არა ჩვეულებრივი უნდა ყოფილიყო ლექტორის ღირსება, რომ მას ასე მრავალ-რიცხოვანი და ასე მრავალ-ფეროვანი მსმენელი მიეზიდა და განსვენებული თარხნიშვილი ბუნებას უხვათ დაეჯილდოვებია ასეთი ღირსებებით. პეტერბურგის პროფესორთა შორის ის ერთ-ერთ საუკეთესო ლექტორათ ითვლებოდა. ექიმები და სხვა წარჩინებული ინტელიგენტები მის ლექციებს ესწრებოდენ იმ იმედით, რომ იცოდენ პროფესორი მათ გააცნობდა მეცნიერების უკანასკნელ სიტყვას აღნიშნულ საგნებში. და მართლაც, არ მომხდარა, რომ თარხნიშვილს გამოპაროდეს რაიმე ახალი გამოკვლევა მისი სპეციალური საგნებიდან, თუნდაც სრულიათ მცირე და უმნიშვნელო. მუშები და უფრო ნაკლებ მომზადებული მსმენელები აწყდებოდენ მის ლექციებს, როგორც ფრიად საინტერესოს და ადვილ გასაგებ სულიერ საზრდოს. მთელი ბუნება პროფესორისა, მისი გარეგანი, შინაგანი თვისებები ხელს უწყობდენ მის მოღვაწეობას და საუკეთესო ლექტორათ ხდიდენ მას. მკაფიო წკრიალა ხმა, სასიამოვნო და მიმზიდველი სახის გამომეტყველება, გატაცებული და ღრმა მეცნიერული კილო, სასიამოვნო ცოცხალი მოძრაობა უნებლიეთ იპყრობდა მსმენელთა ყურადღებას და ამით აიხსნება რომ 10—12 ვერსის მანძილიდან მოსული და დაქანცული მუშები სიამოვნებით უსმენდენ მას მთელი სამი-ოთხი საათის განმავლობაში.

ივანე თარხნიშვილი ნამდვილი ტიპი იყო აღმოსავლეთური მეცნიერ-მეტყველებისა. ისეთი წმინდა მეცნიერული და მოსაწყენი საგნები, როგორიც არის ბიოლოგია, ფიზიოლოგია და გიგიენა, მისი გადმოცემის მეოხებით რაღაც მიმზიდველ შინაარს იღებდა. ის ამ კითხვათა პოლიტიკურსა და სოციალურ მნიშვნელობას მეტ ყურადღებას აქცევდა და სასიამოვნო იყო მისი მოსმენა როცა გიგიენის ლექციაზე საუცხოვო მეცნიერმეტყველობით დაგისურათებდა ცივსა და ნოტიო საკანში ჩამწყვდეულ თავისუფლების მებრძოლთა ფსიხოლოგიას.

მე არ ვიცი რომელ პოლიტიკურ პარტიას ეკუთვნოდა განსვენებული პროფესორი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, მაგრამ მისი ლექციები მუდამ ჟამს გამსჭვალული იყო მაღალი და სპეტაკი კაცთმოყვარული გრძნობითა და შინაარსით. ის იყო მეცნიერი, რომელსაც თავისი დიადი ნიჭი ძლიერთა გუნდრუკის საკმევათ არ გაეწირა, რომელიც შეუდრეკელის გაბედულებით იდგა წმინდა მეცნიერების სწორე გზაზე.

საუკუნო იყოს ხსენება შენი გაბედულო მოქალაქე მეცნიერო და ძვირფასო მასწავლებელო!

ყარიბი.



მოგზაურობა გურული მოციქულისა.

ნურას უკაცრავათ ძვირფასო და პატივცემულო მკითხველო, თუ მოგზაურობაში ვერც ერთ სასიამოვნო ამბავს ვერ მოგახსენებთ. ოღონდაც, მინდა მკითხველს სასიამოვნო რამ მოვუთხრო, მაგრამ რა ვქნა, როცა ჩემ „სამფლობელოში“ ცუდი მეტი ხდება ვინემ კარგი. ყოველ შემთხვევაში იმედი უნდა ვიქონიოთ, მათრახის ძალაში შესვლის შემდეგ მდგომარეობა შეიცვლება...

ნიგოითი. ნიგოითში თვით „ბაზარში“ გავლა ვერ მოვახერხე, რადგან, ცოტა არა სასიამოვნო სუნი იდგა. ისე, შორიდან კი შევნიშნე, რომ აფთიაქში აუცილებლათ კარტს თამაშობდენ. აქვე შევნიშნე რამოდენიმე პირი რეცეპტით ხელში „პროვიზორის“ მომლოდინე... სადგურზე, მატარებლის ლოდინში ერთი აყალ-მაყალი იყო. ბრძოლა სწარმოებდა მგზავრებსა და კასირ ესტატეს შორის... გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ მგზავრები დამნაშავე იყვენ სამგზავრო ბილეთის მოთხოვნაზე, ესტატეზე

კი ამბობდენ, ისე ბილეთს არ იძლევა თუ აუცილებლათ ხურდა ფული არ მიეცეო. ამ უკანასკნელის მიზეზათ „რაღაცებს“ ასახელებდენ, მაგრამ... კითხვა გაურკვეველი დარჩა...

ერკეთის საზოგადოებისკენ გავკარი ხელი ნიგოითიდან. არ შევიარე არცაკეთში იმის გასაგებათ, თუ რას შვრებოდენ ადგილობრივი კარტოფნიკები, არც ჩახატაურში—თუ ვის დუქანში სწარმოებდა ყანწთა ტრიალი და ხელათ ერკეთის მამასახლისის სტოლზე მოვიკალათე. სტოლის გარშემო მრავალი ხალხი ირეოდა. ერთი მათგანი ქუდ მოხდილი ემუდარებოდა მამასახლისს მოეღო მოწყალება და მიეცა პასპორტი. მამასახლისი კი სანამ სამ მანეთს არ მიიღებდა, ცივ უარზე იდგა. აღმოჩნდა, რომ მამასახლისს—მიშას საზოგადო გადასახადათ შამოუღია 3 მანეთი თითო პასპორტზე... მხოლოთ, სახათრო პირებს ხანდისხან ორ მანეთადაც უთმობს თურმე...

ამ მოვლენამ ისე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, (არ მოველოდი მიშადგან ამას) რომ **ხევისკენ** ვიბრუნე პირი. ჩასვლისთანავე წითელი აფიშა მეცა თვალში... წარმოდგენილ იქნება „დამარცხებულნი“... ამოვიკითხე აფიშაზე და მინდოდა აქტიორთათვის გადამეცემა თვალი რომ უცბათ საშიშარი ყვირილი მომესმა. თურმე ნუ იტყვით, ანდრია, ნესტორ, კაპიტონ და ლავრენტი, (ოთხივე მამალაძენი), როგორც კულტურული ადამიანები, სასტიკი მოწინააღმდეგე ყოფილან „დამარცხებულნის“ და მათი ყვირილი და ლანძღვა-გინებაც ამას გამოუწვევია. რომ აღნიშნულ პირებს „ჭეშმარიტობა“ არ შესწამოთ, აქვე უნდა ავღნიშნო, რომ ისინი საზოგადოთ წინააღმდეგი ყოფილან ყოველ ნაირი წარმოდგენის... აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ ხევში განვითარების უმაღლეს წერტილზეა ასული ეგრეთ წოდებულ კამათელის თამაში. ამასთან, ხევი თუმც სოფელია, მაგრამ კულტურამ იქამდე მიაღწია, რომ საკუთარი სამიკიტნო მოეპოება. ამ შემთხვევაში ხომ ჟურნალ-გაზეთებიც აღარ არის საჭირო...

ნაგოლმარი. აქ დიდათ სამწუხარო ამბავი ესმა ყურსა ჩემსა. ვიღაც ბოროტ გამზრახველს აღუღია მახვილი და განუგმირავს გული გურიაში ცნობილ გრეკოვისათვის... მთელი ნაგომარი ძაძით იყო შემოსილი. ხალხის მწუხარებას საზღვარი არ ქონდა. პროცესიის აუარებელი ხალხი დაესწრო. იყო 0000-მდე გვირგვინები... ხორო სამგლოვიარო ხმაზე მღეროდა:

ხან ჯაშუშო, მუდამ ქურდო,
მატყუარა—ხულიგანო;
რეაქციის ღვიძლო შვილო
შე ხორცმეტო და უგვანო.
რომ მიდიხარ, შენ „მამაც რაზმს“
რას უტიებ სანუგეშოს...
რომ შორდები, აწ ისინი,
გვითხარ, ვინღა დააგეშოს?..

ხალხი დამწუხრებული დიშალა. ორი ობოლი ცრემლი ჩემ თვალებსაც მოსწყდა...

ეშმაკის მოციქული.



ვ უ ძ ღ ვ ნ ი

კაკოს.

ჩვენო კაკო,
შე გლახაკო!
შე ცუღლუტო მაჩანჩალა;
თავი ხურდა,
წერა გსურდა
ვერ იშოვე სხვა მასალა?
ერთხელ ჩუმათ
„დურმიშხნურათ“
ხო იმასქენთ პროვიზორი?
ეს ქე შეგრჩათ
თუმც არ შეგრცხვათ
რომ გაუშვეს, დარჩა ჭორი.
მტკიცე ზღუდე,
ნავთ საყუდე
„დურმიშხანთა“ საბუდარი,
მოგინახავს,
კაცად გსახავს
„ნიშადური“ საზიზღარი,
სასაცილოთ,
უსირცხვილოთ
ასპარეზზე გამოსულხარ
აზრზე მწყრალათ,
ენა მყრალათ
ყველას ამცნე რაც შვილი ხარ.
ძლიერ კარგი...
თქვენი ბარგი
ვნახოთ სანამ მიგაცილებს...
რაგინდ ჩქახოთ,
ბოლო ვნახოთ
ვინ იცინებს, ვინ იტირებს!

შხანკოლა.

ოსმალეთის სულთანი ეთხოვება თავისს 265 მზარეულს.

მშვიდობით მზარეულებო!

აბდულ-გამიდი მოსთქვამდა,
მზარეულთ ეთხოვებოდა,
ორას ოთხმოცის მაგიერ,
ოციოდ ეტოვებოდა:
„მშვიდობით ჩემო „შვილებო,“
ჩემთან შესზრდილნო ძმანოო,
ხომ ხედავ, ბედმა რა მწარე
დროება მოგვიტანაო.
კამიტეტები გამრავლდენ,
ჩვენც უნდა ჩავერიცხოთო,
წადით შინ, მე კი ვეცდები
სრულად არ დაგივიწყოთო.
თუ გამობრუნდა დროება
კვალად გიხილავ ჩვენსაო
ქირასაც მოგცემ უკლებლივ
სამსახურ განაცდენსაო“
ზღვას უერთებდენ ცრემლებსა
ღაწვთაგან დანადენსაო.

საფლავებთან

როცა ბორკილი აწმყოს ნადები
მიხუთავს სულსა და არ მასვენებს,
ამ დროს რაღაცა საფლავებისკენ
მიმიწვევს, მარად იმათ მახსენებს!
იქ მყუდროებას არა რა არღვევს,
მითი მოცულა არე და მარე,
იმიტომ მინდა რომ სიწყნარეში
გავყვე ჩემს ფიქრებს მე მგლოვიარე!
კვლავ გავიხსენებ მეგობართა გუნდს,
ამ ჟამათ უკვე შავ მიწათ ქცეულს,

და წარმოდგენით ვიხილავ ისევ
ბრძოლის სავანეს: იმათსა სხეულს!
და აჩრდილები უებრო გმირთა,
მამცნობენ მათ დროს თავდავიწყებას,
— იმ დროს, როდესაც მიაწყდა ხუნდი
და ფრთები ესხა სურვილს და ნებას!
ჩემსა ცხოვრებას შარავანდედათ,
ეს მოგონება მხოლოთ შთენია,
და მასში ჰპოებს წყლულის მალამოს,
როს გულს ედება ცეცხლი, გენია!
მაშ, თუ მიხილოთ იმედ მიხდილი
და გულ მოკლული მგდებარე სხვებთან,
მიმიტანეთ და მსწრაფლ მოვცოცხლდები
გმირათ მკვდარ მოძმეთ ბნელ საფლავებთან!..

რ. ღეჩხუმელი.

სიმღერა ერთი „ყმაწვილისა“

—

ამ დროის „გმირი“ გახლავარ,
(განაკოჭავი ძველათო),
ნატანებ-ოზურგეთ შუა
ეტლებს დავყვები მცველათო.

—

ერთობის შვილებს დავეძებ
გზებზედ და მინდორ-ველათო,
დავიჭერ, გვერდზე მოვისვამ,
გავაკატავებ ხელათო.

—

მინდა რომ ჩინი-ტემლაკი
გადავიკერო ბტყელათო,
მაგრამ მიფრინავს ოცნება
ჩემი გუნების მწველათო.

—

ამ დროის „გმირი“ გახლავარ
მოვლინებული მცველათო;
არ დავყრი ჩემსა ფარ-ხმალსა
ერთობის ხათაბელათო.

თოლა-ბულთა.

დეკეშები

ოზურგეთი. ვასილი დაღონებულა
ქალაქის თავათ ხმობილი
ვერ გაიყვანა ხმოსნებათ
მან თვისი მონა-ძმობილნი.
დადის ბაზარში დაღვრემილ
და ყურებ ჩამოშობილნი
მდუღარე ცრემლით მოსთქვამენ
ქალაქის „კეთილ-შობილნი“...
ჩვენი ვასილის კუდებათ
სამართლიანათ ხმობილნი
და როგორც „მოღვაწეები“
შავ-ბნელ-დროს გამოცხობილნი.

—

ფოთი. ნიკოლაძეს და ზდანოვიჩს
ბრძოლა აქვთ ერთობ მაგარი;
კალმები ამოასველეს
წამოიყარეს ფაფარი,
გამოისახეს დროშებზე
მხოლოდ „საფუთო ქანქარი“
და რომ ჩასწიხლონ ერთ-ურთი
ორივ მებრძოლი მზათ არი.

—

ქუთაისი. „წითელი ჯვარის“ ამბავი
პირზე ადგია ყველასა,
ახალგაზრდ-სასალდათონი
ერთხმათ შესთხოვენ შველასა.

—

გათუმი. ზღვის პირად უწყლოთ ვიხრჩვებით
ვაი ჩვენს ბედის წერასა.
ლამის გადავყვეთ მარტოკა
შავი მილების ცქერასა.



მცირე შენიშვნა.

—

აგერ სამი-ოთხი წელიწადია, რაც საჯავოხოსა და ჩოხატაურს შორის მიმოსვლის საქმე ხელში ჩაიგდო მეეტლეთა საზოგადოებამ. მან, როგორც „მშრომელთა მხანაგობამ“ პირველ ხანებში ვრცლათ მოისარგებლა ხალხის სიმპატიით და ბოლოს, როცა მოღონიერდა, იმავე ხალხს აშკარათ თავზე ხახვის თლა დაუწყო; ყოველ ნაბიჯზე მოქალაქის შევიწროება და აბუჩაო აგდება პრაქტიკათ გაიხადა. საილუსტრაციოთ მოვიყვან ფაქტს: მეეტლე—ისაკი ბერძენიშვილი (საზოგადოების წევრი) გაურიგდა მგზავრებს (ქალები იყვნენ) სად. საჯავოხოდან ჩოხატაურამდე სამ მანეთად; ჩაზიდა მათი ბარგი ეტლში და მგზავრებიც მოათავსა. ცოტა ჩამოიცადა, როცა კი სხვა ეტლები სადგურიდან გავიდნენ და ამნაირათ მგზავრები დაიმარტოხელა, მეეტლემ მგზავრებს ოთხი მანეთი მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ისინი აღარ მიჰყავდა. მგზავრები იძულებული გახდენ მიეცათ ოთხი მანეთი, რადგან სადგურზე მოცდა ყოვლათ მოუხერხებელი იყო.

ვნანობ პატივცემული მეეტლის ზარაღლს! ისეთ პირობებში, როგორშიაც მან მგზავრები ჩაჰყარა, მას, ცოტა წინდახედულობა რომ გამოეჩინა, ექვსი მანეთის „აფცქვნაც“-კი შეეძლო. კაპიტალისტი ხომ კაპიტალისტია, მაგრამ „გაკაპიტალისტებული“ მუშისაგან კი ღმერთმა დაგიფაროსთ...

ონისიმე.



წითელი ჯვარი.

(საშემოდგომო ლეგენდა).

ქუთაისისა მახლობლათ,
კულაშის დასამხაროსა,
„წითელსა ჯვარსა“ ამბობენ
ქანქართა უშრეტ წყაროსა.
რომ დედამ აღზრდილისათვის
ცრემლები არა ღვაროსა,
რომ მამამ შვილი, მარჯვენა
ჯარში არ გაამგზავროსა,
საკმარისია ჯვარისკენ
ქანქარი წაიმძღვაროსა
და შვილი განსაცდელისგან
დაიხსნას, დაიფაროსა.

თუ „წითელ ჯვარის“ შემავალს
ვერცხლი არ დაენანება,
ხიფათი სალდათობისა
სიზმრათ არ დაეზმანება
ვერას დაუშლის ვერც ღონე,
ვერც მდევის ახოვანება,
და გოლიათიც რომ იყოს
გასჭრის დავითის ბრძანება.

თუ შესაწირავს „ჯვარისთვის“
არ გასცემ უხვი ხელითა,
ვერ გამოძვრები ზომიდან
ვერც კუზიანი წელითა,
ვერც ჭლექის ბაცილიანი,
ვერც მხედველობით ბნელითა
ჰხამს „სიძუნწისთვის“ იტანჯო
ეგზომი სატანჯველითა.

ქუთაისისა მაზრამან
იცის ამ ჯვარის ძალანი,
ბევრს ააცილა თავიდან
უზომო ხათაბალანი.
ქანქარნი შეიმასქნა
მართ ოდენ თავზე ბალანი,
ან თუ ქვიშასა იტევენ
რიონის მინდორ-ჭალანი.

ჩვენც მის წინაშე მოვხაროთ
წვერი მათრახის ჩვენისა,
იშვიათია ჯვარები
ამ ძალთა გამოჩენისა:
სალდათობიდან უეცველ
დამფარველ გადამრჩენისა,
კარის ბჟე დამშვენებელი
წმინდა დავითი ბრძენისა.

ეშმაკი.

* * *

აქ რათ დგახარ ვის უცდი ამ ბნელაში?
მარტოთ-მარტო რისთვის დაეხეტები,
რას დაეძებ, ტურფავ შენ აქ, ამ ბაღში
აწ შინისკენ რად არ გაეშურები?
არ გყავს დედა, არ გყავს მამა საბრალოვ?!
ობოლი ხარ უმწეოდ დარჩენილი
არ ვინ გწყალობს, აღარავინ გიბრალებს
ბედ-უკულმართს ბოლოს გიღებს შიმშილი?
და გადასჭერ ჰყიდო სინდის-ნამუსი
ჰყიდო გროშზე შენი უმანკოება,
გადასცურდე გარეგნილების მორევში
დაიკარგო სამუდამო ნეტარება?
ოჰ საბრალოვ, მწარეა ეგ განზრახვა
შენ ამ კითხვას ჩანს რომ დიდხანს ებრძოდი,
რომ ამ ბადეს როგორმე აცდენოდი
გულით გსურდა, მუდამ ამას სცდილობდი.
მაგრამ გძლია შენ დუხჭირმა ცხოვრებამ
ჩაგითრია მკაცრ, ულმობელ ტალღებში
ყოველი მხრით ხსნის კარები დაგიხშო
რომ ჩაგახრჩოს თავის ბინძურ მორევში.
და აწ მორჩა... ბედი შენი გადაწყდა
ქუჩა-ქუჩა ჰყიდე გროშზე სხეული
ჰყიდე ურცხვათ სინდის-პატიოსნება
სანამ ვარგხარ, სანამ გიდგას შენ სული.
და შემდეგ კი, როს სიტურფეს დაჰკარგავ,
ტანჯვა გაგტეხს, სიკვდილს დაგიახლოვებს
მიაშურე გულზე-ხელ დაკრებილმა
შენებრ ტანჯულთ, უბედურთა საფლავებს.

ნ. ჩხიკვაძე.

დაბა-სოფლები.

სადგ. სამტრედია. მართალი არ არის ის ხმები, თითქო სამტრედიის სადგურზე ბილეთის შოვნა არ შეიძლებოდეს. მხოლოთ მეორე ზარის შემდეგ არის გასაჭირი კასაში ბილეთის გამყიდველების აღმოჩენა, თორემ ამ დრომდე კიდევ შეიძლება კაცმა იშოვოს სამგზავრო ბილეთი.

რაიცა შეეხება სიბინძურის გასატან ბოჭკებს, ეს მხოლოთ გზათა მინისტრის ჩამოვლის დროს მიკარგეს თვალთაგან, თორემ ახლა ლამის არის სადგურის ბაქანზე წამოაყუდონ, ალბათ ჰაერის გასაწმენდათ.

სოფ. ეწერი. ილიას განბანა. 4 აგვისტოს ილარიონ ვაშაკიძისა და მამა სამსონის დახმარებით წმ. ილიას ეკლესიაზე დიდებული კრება მოხდა. მიზანი კრებისა გამუდმებული გვალვები გახლდათ. ვინ არ იცის, რომ ცაზე ჭექა-ქუხილი ილიას ეტლის სირბილისაგან წარმოსდგება და ჭექა-ქუხილის შედეგი კი გადამწვარი ბუნების გამაცოცხლებელი ჟუჟუნა ან კოკისპირული წვიმაა ხოლმე. სასტიკი გვალვებით გამწარებულმა ხალხმა უკანასკნელ საშვალებას მიმართა და გადასწყვიტა წმ. ილიას შეწუხება. განიზრახეს ხატის განბანა, რომ ამით რასაკვირველია ილიას წვიმა წარმოეგზავნა.

მამა სამსონს გული აუჩუყდა ოდეს იხილა ხალხში ესოდენი მართ.-მორწმუნოება და ვრცელ სიტყვაში აღუთქვა ყოველივე სიკეთე ვითარცა ცათა-შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა.

ჩვენი სოფლის მოწესრიგე ხუსეინა ამ ბოლო ხანებში ძლიერ იმასშობა. წინეთ თურმე ძლიერ უყვარდათ ადგილობრივ მცხოვრებლებს. მას შემდეგ კი, რაც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა 8 ქანქარით დააჯარიმეს, ხუსეინა ბუზს აღარ იკარებს სიახლოვეს.

სოფ. ჩხენიში. ვინაიდან ადგილობრივ სკოლაში კარტის მოთამაშენი და თანაც სოფლელთა თხები ათავსებენ თავს, გადაწყდა შენობა არ მოცდეს ამათთვის და გადატანილ იქნას მუნ სოფლის შვიდი დუქანი.

ჩორთიკ.

—

კულაში. როგორც „გოლოს ბათუმა“ სწერს, ისხაკ ბატაშვილს და ივლიან კროვეიშვილს მართლმადიდებლობა მიუღიათ და „წითელი ჯვარის“ სასარგებლოთ თავ. დ. ნიჟარაძის ჩაგონებით პირველს 1000 და მეორეს 500 ქანქარის გადახდა განუზრახავთ.

—

ჩიბათი. (სანდრო და სამსონ).

სანდრო და სამსონ შეიბენ
მუშტებმა იწყეს ტრიალი;
სამსონმა გასცხო სანდროსა
სისხლმა დაიწყო თქრიალი.
ახლა სანდრომა შესტყორცნა
თუჯისა თუნგი წყლიანი
ტვინი შეერყა სამსონსა
დიდი მიეცა ზიანი.
ამ ხელობაში ორნივე
არიან გამოცდილები,
და ნუ დაგვრჩება ნურც ერთი
მათრახით განაწბილები.

—ა.

—

სოხუმი. ყველაფერი დროს მოაქვს. ჩვენმა მეუნაგრე-თერძ-ხარაზებმაც სწორეთ ახლა იშოვეს დრო ლოკაუტისა. ქარგალ-შეგირდებსაც რაღა დარჩენოდათ გაფიცვის გარეშე. ხაზეინები რასაკვირველია ძველი პირობების აღდგენას ეპირებიან. ხოლო გაფიცულები იერიშს იგერებენ. გამწვავებული ბრძოლაა. ლოკაუტის მოწინავე რაზმი თავ გამოდებით იბრძვის. ვნახოთ ბოლო რა იქნება.

და რედაქტორო არ იზამ ცუდსა
თუ მოგვაშველებ მათრახის კუდსა.

კლასიონ

ორი ეშმაკი.

პირველი გაზეთებს მუსრი ევლება
ხოლერაა, თუ ჭირია,
იქნებ შენა გაქვს ნებართვა
მასესხე ძმაო, მჭირია.

მეორე რას ამბობ, ჩემო კეთილო,
ვინ მომცა „საპრაკატოთა"
ახლა მე თითონ ვნათხოვრობ
ერთი მჭირია მარტოთა
პართენთან მივეჩქარები
მისგან მოველი შველასა,
რუსული სიტყვა თუ კია
გაზეთებს არჭმევს ყველასა.

აგენტების საყურადღებოთ.

„**მათრახის**" რედაქცია აუწყებს პატივცემულ აგენტებს, რომ დღეიდან (სანამ საagენტოს საქმე მოეწყობოდეს), ჟურნალი ანგარიში უნდა გამოეგზავნოს რედაქციას. ამ ნომერს თვით რედაქცია უგზავნის ყველა აგენტებს და ვინც მომავალ პარასკევამდე ანგარიშს არ გამისწორებს და არც წერილობით აცნობებს რაიმე თვალსაჩინო მიზეზს ანგარიშის გაუსწორებლობისას, მას შემდეგი კვირის ნომერი აღარ გაეგზავნება.

ფული გამოიგზავნება შემდეგ ადრესზე: Тифлисъ Ред. „Матрахи". Теофилу Ерастовичу Болквадзе.

კუპონებზე უნდა წაეწეროს დაწვრილებით ანგარიში რამდენი გაიყიდა და რამდენი დარჩა.

გაუყიდავი ნომრები უკლებლათ უნდა ინახებოდეს დრომდე.

მეტად ხელ-მისაწდომ ფასებში

ვიგონებ.

მოხდენილ სახელებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებისათვის განურჩევლათ მიმართულებისა. უკვე მოგვეპოება მზა-მზარეული სახელები: გეოგრაფიიდან, ასტრონომიიდან, ბუნების მოვლენათაგან, მედიცინიდან, ძველი ისტორიიდან და სხვ.

ხოლერის ქუჩა № 13.

ჭ 15
1908

რედაქტორ-გამომცემელი ბ. **ბოლქვაძე**

ყოველ-კვირეული სახუმარო ჟურნალი

მათრახი

გამოდის ყოველ კვირაობით, როცა ეს მოსახერხებელი იქნება.

წელიწადში ჟურნალიღირს 5 მან. წლის დამლევამდე 2 მან.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები უკანასკნელ გვერდზე სტრიქონი 20

ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა

„შრომა"

ღებულობს ყოველგვარ საბეჭდავ საქმეებს, ასრულებს სწრაფად და ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებში.

მოითხოვეთ ყველგან

მ. ლაღიძის და ამხანაგობის საუკეთესო ქარხნის წყალი!

გემო და არომატი მშვენიერი აქვს.

ქარხანასთან დეკორატიული მცენარეებით ლამაზათ მორთული აივანია, სადაც შეიძლება ყინულივით ცივი წყლის სმა.

ქარხანა იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, მანთაშევის სახლში. ტელეფონი 411. (13—11)

ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა" თფილისი.